



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1124

11/06/2018

ქალაქი ბათუმი

1124-05-4-201806111738



„აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ პროექტში მონაწილეობის ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მადონა დავითაძის 2018 წლის 30 მაისის №1528-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ პროექტში მონაწილეობის ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილებამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს:

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია-კავშირი“-საგან „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ პროექტში მონაწილეობის ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა